№ 167 აგვისტო 10, ოთხშაბათი 1888 აგვისტო 10, ოთხშაბათი № 167

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისი, 9 აგვისტო

ამ ორის დღის წინად დეპეშამ მოკლედ გვაცნობა რიხითა და გაბედულობით სავსე სიტყვა იმპერატორის ვილჰელმისა. ახალგაზდა იმპერატორმა საქვეყნოდ აღიარა, რომ მზად არის 42 მილიონი გერმანელი და 18 კორპუსი მსხვერპლად შესწიროს გერმანიის დიდებას და ხელის გულის ოდენა მიწა-კი არ დაუთმოს საფრანგეთს. რასაკვირველია, ამ გვარი რიხიანი სიტყვა დიდს ზედმოქმედებას იქონიებს ევროპის პოლიტიკაზე, მით უფრო, რომ წინად მითქმა-მოთქმა იყო, ვითომ შესაძლოა გერმანიამ, თუ ვინიცობაა ძალიან გაუჭირდა, საფრანგეთს დაუთმოს ელზას-ლოთრენიო. როგორც სჩანს, იმპერატორი ვილჰელმი გაჭირვებულად არა სთვლის გერმანიის მდგომარეობას. რაკი საქვეყნოდ აღიარა, რომ მზად არის მთელი გერმანია მსხვერპლად შესწიროს ერთს ციდა მიწას, აქედგან ცხადია, რომ, როგორც გუშინდელს მეთაურში იყო მოხსენებული, გერმანიამ მიიმხრო რუსეთი, დანია და იმედი აქვს იტალიაზედაც, და თუ საფრანგეთი და გერმანია ბრძოლის ველზე შეეჭიდნენ ერთმანეთს, საფრანგეთს მომხრე და მოსარჩლე არ ეყოლება. ეხლა ნება გვაქვს ვკითხოთ, დაცულია თუ არა ევროპის მშვიდობიანობა მაშინ, როდესაც მოსალოდნელია სისხლის-ღვრა ორთა უძლიერესს და ევროპის მეთაურ სახელმწიფოთა შორის. მოსალოდნელია, რომ ორი განათლებული სახელმწიფო ხმალ-და-ხმალ შეებმებიან ერთმანეთს, და ან ერთი და ან მეორე უნდა დაირჩეს სისხლის მორევში მაშინ, როდესაც მთელი დიპლომატია გაიძახის, რომ მშვიდობიანობა უნდა დავიცვათო. დიპლომატიამ რაც უნდა ილაპარაკოს, ის-კი ცხადია, რომ ევროპის მშვიდობიანობა ბეწვზე ჰკიდია. პირველი ომი, რომელსაც ევროპა შეესწრება, საფრანგეთისა და გერმანიის ომი იქნება და შემდეგ სხვა სახელმწიფოთა შემკლავებაც მოსალოდნელია.

ამას წინად ხმა გავარდა, ვითომ შესაძლებელი ყოფილიყოს გერმანიისა და საფრანგეთის მორიგება; ზოგიერთებს ეგონათ, რომ იმპერატორის ვილჰელმის მოგზაურობა გერმანიისათვის უნაყოფო გამოდგაო. საფრანგეთსაც ამისი იმედი ჰქონდა და მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საფრანგეთში სრულიად დაამარცხეს ის დასი, რომელსაც საგნად აქვს გერმანიას სამაგიერო გადაუხადოს. გენერალი ბულანჟე, რომელმაც ეგოდენი აყალმაყალი ასტეხა, ეგოდენი შფოთი გამოიწვია საფრანგეთსა და ევროპაში, ყველგან დაამარცხეს და თითქო კიდეც დაივიწყეს. ამ დასის მაგიერად, ზოგიერთის აზრით, საფრანგეთის მეთაურობა უნდა გადასულიყო ამ მოკლეს ხანში ესრედ წოდებულ ოპორტიუნისტების ხელში, რომლებსაც საგნადა აქვსთ კარგი განწყობილება ჩამოაგდონ საფრანგეთსა და გერმანიას შორის და, თუ შესაძლო იქნება, მორიგებით გასწმინდონ ანგარიში გერმანიასთან.

როგორც სჩანს, ეს იმედი მაინცა და მაინც საიმედო არა ყოფილა. ვილჰელმმა საქვეყნოდ აღიარა, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის მორიგება შეუძლებელია და ტყუილია ის ხმა, ვითომ ფრიდრიხ მესამეს განზრახვა ჰქონდა ელზას-ლოთრენი დაეთმო საფრანგეთისათვისაო. ვილჰელმის სიტყვამ დიდი ზედმოქმედება იქონია საფრანგეთზე, რომელიც დარწმუნდა, რომ გერმანია, სხვა სახელმწიფოებზე დაიმედებული, მზად არის თოფ-იარაღით გაუსწოროს ანგარიში რესპუბლიკასაო. საფრანგეთმა ყური მოჰკრა ვილჰელმის სიტყვას და, რასაკვირველია, ყალყზე შესდგა. უეჭველია საფრანგეთს აზრად მოუვიდოდა ისევ იმ დასს ჩააბაროს ხელში თავისი ბედი, რომელსაც საგნად აქვს თოფ-იარაღით გაუსწოროს ანგარიში გერმანიას. ამითი აიხსნება ის ამბავი, რომელიც დღეს დეპეშამ გვაცნობა. გენერალი ბულანჟე, თითქო საბუდამოდ დამარცხებული და დავიწყებული, ის ბულანჟე, რომლის მოქმედება და საქციელი სიცილად არა ჰყოფნიდა მწერლობას, სამს დეპარტამენტში ამოურჩევიათ აუარებელის ხმის უმეტესობით. ამ გარემოებას ძალიან შეუწუხებია და დაუფიქრებია მმართებლობის მომხრე მწერლობა. დღეის იქით, უეჭველია, კიდევ უფრო გამწვავდება უიმისოდაც მტრული განწყობილება გერმანიისა და საფრანგეთისა...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

* * მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალ[illegible] ეპისკოპოსი, რომელიც ქ. კიევში გაგზავნილი იყო რუსეთის ნათლისღების ცხრა ასის წლის დღესასწაულზე დასასწრებად, ჩამოვიდა რვას ამ თვეისას ტფილისში.

* * გუშინ, დილის ოთხს საათზე, როცა მატარებელი მე-95 №-რი შემოდიოდა ტფილისის რკინის გზის სადგურზე, მეისრე დიმიტრი კვაჭ-ძე, ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯურუყვეთის მღვდლის შვილი, გაუფრთხილებლობით ქვეშ მოჰყვა მატარებელს და გაისრისა.

* * ამ ჟამად ბ. ნ. ზევითხანოვს, ერეკლე ბატონიშვილის აბანოების მოიჯარადრეს, განუზრახავს ფრიად სასიამოვნო საქმე. ამ მოიჯარადრემ უნდა გადააკეთოს აბანოები ევროპულს გემოვნებაზე. ამ საქმეს უკვე შესდგომია და ამ ენკენისთვის დამლევში კიდეც იმედი აქვს დაამთავროს თავისი განზრახვა. როგორც ეხლავე ეტყობა, აბანოები საუცხოვოდ იქნება მოწყობილი. აბანოების გადასაკეთებლად მოიჯარადრეს ხუთი ათას თუმნამდე ეხარჯება. ეს ხარჯი თვითონვე უკისრნია მოიჯარადრეს, თუმცა აბანო ეხლავე მოცდენილია, და მოიჯარადრე მაინც იჯარას იხდის.

* * დ. ცხინვალი: 31 ივლისს კინაღამ დიდი უბედურება არ დატრიალდა ჩვენში. ერთმა ოსმა ყავარი ჩამოიტანა და გაჰყიდა ერთს ფხვენელ-

## ფელეტონი

### აფხაზეთი და აფხაზნი

(საეტნოგრაფიო აღწერა)

წინასიტყვაობა

(გაგრძელება*)

სისხლის-ძიება, როგორც ვიცით, ის არის, რომ მოკლულის ნათესავმა მკვლელი, ანუ იმისი ახლო ნათესავი უნდა მოჰკლას, უკანასკნელთა სისხლსა ისევ სისხლით პასუხი უგოს, სისხლი გადაახდევინოს, აიღოს. ამ გვარად სისხლის-ძიება გადადის მოდგმიდგან მოდგმამდე, მაგრამ ამით „ძველი სისხლი არა ჰკვდება, არა ლპება". სისხლის-ძიება ღვთაებრივი და წმინდა მოვალეობაა ადამიანისა, იმისი გადაუხდელობა, უძიებლობა კაცს საუკუნოდ სირცხვილეულ ჰყოფს დედამიწაზე; ამას დიდნი და პატარანი, ქალნი და კაცნი ყოველს შემთხვევაში წააყვედრებენ ასეთს საქმესა. თუ კაცმა ვერ იძია სისხლი, თვით სისხლი მაინც ვერ მოითმენს დარჩეს შეურაცხყოფილი: თუ გაჭირდა, თვითონ მოითხოვს პასუხს, თვითონ სისხლივე თავის თავად იძიებს სამაგიერო სისხლს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელი გადავარდებოდა სადმე შორსა, მაშინ, რასაკვირველია, იმისს ახლო ნათესავებზე იყრიდნენ ჯავრსა: მოკვლითა, დატყვევებითა, საქონლის წართმევითა, ერთის სიტყვით, აოხრება-აწიოკებითა. ერთის უკანასკნელის ყმის მოკვლა სოფელში ორს სოფელს მოსისხლე მტრებად ხდიდა და ერთმანეთს შეატაკებდა. ამას მოჰყვებოდა ერთის ან მეორის იქით-აქეთ გადახიზნვა, გადაწვა და სხვანი, სანამ საქმე ბოლოს მორიგებით არ გათავდებოდა. სისხლის-ძიების საქმეში წოდებრივს განრჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავადიშვილის მიერ მოკლულის გლეხის მონათესავენი ხელს ვერ გამოიღებდნენ მკვლელის ანუ იმისს ნათესავის წინააღმდეგ, რადგან იმათი სისხლი „სწორი არ იყო". სისხლს იხდიდნენ იმ თავადიშვილის მოყმესა, ანუ გამზრდელ გლეხისაგან და ამ შემთხვევაში მოკლულის გლეხის გაზრდილი, თავადი ყოფილიყო იგი, თუნდ აზნაური, ეხმარებოდა და მოთავეც იყო სისხლის-ძიების საქმეში. ესევე განსხვავება დაცული იყო, მაშინაც, თუ დაჩაგრული და შეურაცხყოფილი თავისის და თავის მოპირისპირეს მეგობრებთა, შუამავალთა მცადინეობის შემწეობით თანხმდებოდა მორიგებაზე, „სისხლის ფასის" აღებაზე.

„სისხლი", ანუ „სისხლის ფასი" თავადისა, აზნაურისა და გლეხისა ერთი არ იყო.

თუმცა ყოველს შემთხვევაში კაცის კაცობას და მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მაინც, მაგალითად რომ ვსთქვათ, გლეხის სისხლი ღირდა—5 კაცის სული და მეტიც, აზნაურისა—15-ამდის, თავადისა—25-ამდის. თუმცა იშვიათად „სისხლის ვალში" მოჰყვებოდა მთელი ჯალაბობაც, მაგრამ უფრო პატარეებით იხდიდნენ ვალსა. ბავშვების ფასი, ვაჟი იქნებოდა თუ ქალი, იმათს სიდიდეზე იყო დამოკიდებული. სიდიდე, ე. ი. სიმაღლე ბავშვებისა-კი მტკაველით იზომებოდა. ეხლაც გაიგონებს კაცი აფხაზებში ასეთს სიტყვებს „ოთხის მტკაველის ფასი ცხენი, ხუთის მტკაველის ფასი ცხენი". უფრო 4, 5 და 6 „მტკაველი" იყო ხმარებაში. ექვსს მტკაველზე მეტი არ იყო მიღებული, რადგანაც ამ გვარის ბავშვის გამოყენება მართლაც უფრო საძნელო იქნებოდა.

ზოგიერთის მომჩივანის გულის მოსაგებლად რამდენისამე კაცის სულს გადასწყვეტდნენ სისხლის ფასად ასე 25—30, მაგრამ „ფორმალისტ" აფხაზებს აქაც მოგონილი ჰქონდათ ხერხი განაჩენის სიმძიმის შესამსუბუქებლად. „ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი მტკაველები" გავაჩინეთ 20: ერთი მიეცით ღალიძეას, მეორე მოქვის წყალსა, მესამე ეიდარს და სხვანიო,—ჩამოსთვლიდნენ მოზრდილ წყლების სახელებს, რომლებსაც სიდიდით შეუძლიანთ კაცი დაარჩონ. ამ წყლებში ოდესმე დამრჩვალთაც სისხლში ჩაუთვლიდნენ და საბოლოოდ ამ სახით საკმაოდ შემცირებულს რიცხვს „მტკაველებისას" მოუსაჯავდნენ ბრალეულს გარდასახდელად... თუმცა უკანასკნელს დრომდინაც ამ მტკაველით გაზომილ ბავშვებით იხდიდა სისხლი, მაგრამ სისხლის გადახდა შეიძლებოდა საქონლითაცა და ფულითაც. მართალია, ყოველს შემთხვევაში სისხლი „მტკაველთა" რაოდენობის კვალობაზე მიესაჯებოდა კაცსა, მაგრამ შემდეგ, ვისაც ემარჯვებოდა, საქონლითაცა და ფულითაც იხდიდა.

4 ტკაველი ღირდა 30 ძროხა — 30 მან.
5 — — — 50 „ — 50 „
6 — — — 70 „ — 70 „

თვითოეულს ამეებს ზედნადებად ემატებოდა კარგი იარაღი და ტანისამოსი.., გარდა ძროხისა, წვრილი ოთხფეხი საქონელი: თხა, ცხვარი და ფუტკარიც მისაღები იყო სისხლის ვალის გარდასახდელში. მაგრამ ამათის ფასის გასარკვევად იყო ძროხა და ძროხის ფასი. ამიტომაა რომ აფხაზისაგან ლაპარაკში დღესაც ხშირად გაიგონებთ: „ერთის ძროხის ფასი თხა"; „ძროხის ფასი ცხვარი"; „ძროხის ფასი ფუტკარი" და სხვა.

სისხლის ფასის გარდახდაში, როგორც საზოგადოდ ყველა ვალისაში, ერთი გარემოება მეტად შემავიწროებელი იყო ვალის პატრონისათვის. ეს ის გარემოება იყო, რომ წინად აფხაზებში თვითოეულ თვეის თავზე სარგებელი მანეთზე შაური უნდა გადეხადა მოვალეს. ფულად იქნებოდა გადასახდელი თუ საქონლით, სარგებელი მაინც დიდი იყო. ძროხა რომ ემართებოდათ, სარგებლად იწერებოდა ყოველ წლივ იმისი ხბოცა, თუნდა მოეგო, თუნდა არა; მერე კიდევ ზედ ეკეცებოდა ამ გაზრდილის ხბოს მონაშენებულიცა, ასე რომ აფხაზი—მიმღები ჯოხის ჰკრასა და თელაში იყო და სანამ თავნი არ გაორკეცდებოდა, მანამ ხმას არც-კი იღებდა. მხოლოდ ამის შემდეგ-კი საშინლად გამოეკიდებოდა მოვალეს.

აი ამ ფულის თვეის თავზე სარგებელს, რომელიც თვეე და თვეე დგებოდა, და საქონლისას, რომელიც წლის თავზე ეკეცებოდა თავნსა, აფხაზურად ერქვა სიტყვა „ამზეჭ".

იგივე კანონი მოქმედებდა სისხლის ზღვევის საქმეშიაც. სისხლის ვალი, ვადას გარდაცილებული წლის შემდეგ, ოთხი მტკაველი ხუთ მტკაველად ჩაეთვლებოდა, ხუთი ექვსად და ექვსი შვიდად. მაგრამ, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, რადგან შვიდ მტკაველიანი ყმაწვილი არ იყო მიღებული, ამიტომ შვიდ მტკაველიანი ვალი ორად იყოფოდა და ინიშნებოდა ორი ოთხ-მტკაველიანად.

აი ეს გარემოება მეტად აძნელებდა სისხლის ფასის გადახდას. ამიტომ შეუძლებლობისა გამო არა იშვიათად მთელი ჯალაბობაც ვალში მოჰყოლია. მაგრამ აფხაზები შეწევნითა და საჩუქრებით ნაქებნი იყვნენ და არიან და ეს ჩვეულება ძალიან ეხმარებოდა მოვალეს. საკმარისი იყო ეთქვა აფხაზს სიტყვა: „სისხლი დამიდო"-ო, და უცბად მოჰკრებდა რამდენსამე ათსა და ოცს ხარსა და ძროხას...

რაკი ამ სახით დაუამდებოდა გული მოსისხლე მტერსა, სცდილობდნენ მერე იმას დაშოშმანებას სულიერად და ზნეობრივადაც. ამისათვის დაჰპატიჟებდნენ ან თვითონ იმას, ან იმის შვილს და „აკბენინებდნენ" მკვლელის ცოლის, ან დედის ძუძუზე, იხდიდნენ გაზრდილად, შვილობილად. ამ შემთხვევაშიაც ცალკე საჩუქარსა სძღვნიდნენ.

ხშირად ასეც მოჰხდებოდა ხოლმე, რომ, როდესაც მოსისხლე მტერი არავითარის გზით არა ჰყაბულდებოდა მორიგების ჩამოგდებაზე, ფარულად ჩამოტაცებით მოჰყავდათ იმისი შვილი, ანუ რომელიმე იმისი ახლო ნათესავი აღსაზრდელად და ამით ძალაუნებურად ზავი მყარდებოდა მოსისხლე მტრებს შუა, რადგან მოკვლა შვილის გამზრდელთა „ძუძუ-მკერდის" შეურაცხყოფა, გადალახვა და შებღალვა იქმნებოდა, რაიცა ვაჟკაცობას აღარ შეშვენის.

ყოველს ერს ცოტად თუ ბევრად უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა, მაგრამ არის ისეთი ხალხიცა დედა მიწაზე, რომლისათვის სადაც კარგად ეცხოვრებათ, იმისი ბაღდადიც იქ არის. ამას აფხაზზე ვერ ვიტყვით. აფხაზს გაგიჟებით უყვარს თავისი მართლაც ტურფად შემკული ქვეყანა და პოეტთან ერთად თამამად შეუძლიან სთქვას:

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

აფხაზი „ოჰ შირ"-ის ამოოხვრით ბრუნდება თავისს „აფსნში" [1]. სამშობლოს ქება და ლოცვა: „აფსნზე უკეთესი ალაგი დუნიაზე არ არის; ღმერთო, აფსნს ნუ დაჰკარგავ"-ო, მუდამ ენაზე ადგია, ჭირშიაცა და ლხინშიაც.

სტუმართ-მოყვარეობა, ეს უძველე-

*) იხ. „ივერია" № 165.

1) თავისს სამშობლო ქვეყანას აფხაზები უწოდებენ: აფსნ. სიტყვა შესდგება, ჩემის აზრით, შემდეგ სიტყვათაგან: აფსუა=აფხაზი და ან=დედა; აფსუ ან=აფსნ=აფხაზის დედა სამშობლო, აფხაზეთი.

ზე, რომელმაც დაუდო თავის ურემს. ამ დროს წამოადგნენ თავზე ვასიკო და დათიკო მაჩაბლები, რომლებმაც წაართვეს ნაყიდი ყავარი, შეაბეს ოსის ხარები და სახლისაკენ ისტუმრებდნენ. ამ დროს გაუგებინებიათ შელვინიანებულის ოსისათვის, გულ-მოსული გამოქანებულა, უძვრია ხანჯალი და იქავ უნდა გაეთავებინა თავ. დათიკო მაჩაბელი, მაგრამ უკანიდგანა სწვდა საჩქაროზედ ვასიკოს მოსამსახურე და გადაარჩინა დათიკო მაჩაბელი სიკვდილს. ყავარი მაინც წაართვეს, მაგრამ მეორე დღესვე დაუბრუნეს. ამისთანა შემთხვევა და უსიამოვნება ბევრია, როგორც სამაჩაბლოში, ისე ფალავანდიანთსა და იმათ კაცებს შუა. იმდენი თაოსნობა არა აქვსთ, შეჰკრან ტყე, დააყენონ ყარაულები, რომ ქურდულად არავინ შეუშვან და არც არავინ გამოუშვან და მოიცილონ თავიდგან შფოთი და უსიამოვნება.

⁂ თელავი: ამ ბოლოს დროს ცრუ-მოამბეთა რიცხვმა მეტად იმატა. ეს დალოცვილნი ისე გათამამდნენ, რომ სრულიად უშიშრად შეჰყავთ გაზეთები შეცდომაში. რედაქციები, რასაკვირველია, არაფერს შუაში არიან. მხოლოდ ჩვენ, მკვიდრნი, ვიჰყლიტებით. ჰკითხულობ გაზეთში ამბავს და ჰკვირობ—კაცო, სად ვიყავ ნეტა, ესადა-ეს ამბავი აქ ჩემს თვალ-წინ რომ მომხდარაო. ამას წინად „ივერიაში“ სომხურის გაზეთიდან გადმობეჭდილი იყო ამბავი, ვითომ თელავის მდიდარს აწ განსვენებულ ბალდოევს ანდერძით სკოლებისათვის ფული შეეწიროს. სწორედ გავოცდით, ეს რომ ამოვიკითხეთ. რა ანდერძი, ან რა სკოლა! განსვენებულს სკოლისათვის არა უანდერძნია-რა.

⁂ იქიდამვე: ღვთისა და თქვენის წყალობით ეხლა თუ ეშველება რამე უწმაწურად გაშენებულს, მაგრამ ბუნებით კოპწია თელავს, თორემ, ვინ იცის, როდის ეღირსებოდით ქალაქის გასუფთავებასა და გალამაზებას. ეს სამი დღეა, რაც ქალაქის მეთაურნი შეუდგნენ ქუჩებისა და აჩონჩხილ მიწების გაფართოვებას და გასწორებას. მადლი ის არის, რომ არა მარტო დიდს ქუჩა-მოედნებს, თვით მიყრუებულ ქუჩებსაც-კი ასწორებენ და აშენებენ. ყველა ძველი შენობა უნდა შეაკეთოს პატრონმა. ბაზარს-კი ორივე მხარეს ტროტუარი უნდა გაუკეთონ.

⁂ სოფ. ქურთა: ქურთელები იქამდის მოწადინებულნი ვართ სკოლა გავმართოთ, რომ არც ხარჯს შევუშინდებით და არც მეცადინეობას. მაგრამ რა ექნათ, რომ არ ვიცით, საქმე როგორ მოვაწყოთ, ვის მივმართოთ. ქურთა ოთხის თემისაგან შესდგება: კეხვი, ქურთა და ქვემო და ზემო აჩაბეთი. ამ სოფლებში ითვლება ორას კომლამდე, და პატრონი რომ გვყვანდეს, სკოლაც გვეღირსებოდა და სხვა რამეც. ამას წინად აქ ერთს ყმაწვილს კაცს თათბირი ჰქონდა მცხოვრებლებთან სკოლის თაობაზე. მოკლედ აუხსნა სოფლელებს სკოლის მნიშვნელობა და ყოველივე, რაც სკოლის გამართვას შეეხება. სოფლელებიც დასთანხმდნენ, დაჰპირდნენ განაჩენის შედგენას, მაგრამ გამოჩნდა ვიღაცა უკუღმართი, რომელსაც უთქვამს სოფლელებისათვის: რას ამბობთ, სად შეუძლიან სოფელს სკოლის ხარჯი იხადოს; სკოლას წელიწადში ორას-სამასი თუმანი არ ეყოფაო. ამით იმ ვიღაცა უკუღმართმა საქმე შეაფერხა. აი, სწორედ ამაზედ არის ნათქვამი: ერთმა თავგმა ღვინით სავსე ქვევრი წაბილწაო. ის ვიღაც უკუღმართია, სოფლელებს რომ ერთი ხუთიოდე თუმანი ამოეღოთ და ეძლევნათ იმისთვის, მაშინ, რასაკვირველია, ნაკლებად დაუსვამდა სკოლას. ჯერ კიდევ იმედია, რომ სოფლელები ამ გაიძვერას ხელში არ ჩაუვარდებიან. თუ თავადებმა და მღვდლებმა მხარი მოგვცეს, იმედია, საშველი-შველი საქმეს გამოვაკოპიტებთ.

## უცხოეთი

საფრანგეთი. დეპეშებიდამ ვიცით, რომ საფრანგეთში რამდენსამე ალაგას მუშებმა უწესოება მოახდინეს და პირი შეჰკრეს, ხელი აიღოთ მუშაობაზე, ვიდრე ქარხნებისა და მადნების პატრონები ფასს არ მოგვიმატებენო. ბევრმა თანაგრძნობა გამოუცხადა მუშებს, ბევრმა-კი მხარი დაუჭირა ქარხნების პატრონებს. უსაქმოდ დარჩენილი მუშები ჰღელავდნენ, იკრიბებოდნენ ქუჩებში და ახდენდნენ უწესოებას. რამდენჯერმე ჯარი და პოლიცია ჩაერია თავ-მოყრილის ხალხის გასაფანტავად. ზოგიერთნი მოთავენი უწესოებისა დაპატიმრებულ იქმნენ, ზოგნი დაიჭრნენ ჩხუბსა და ბრძოლის დროს. მთავრობა ძალიან შეწუხდა და რამდენჯერმე სასტიკი ღონის-ძიებანი იხმარა მშვიდობიანობისა და წესიერების ჩამოსაგდებად. ამასობაში მშვიდობიანი მორიგება მაინც არ იქმნა, არ ჩამოვარდა და დღესაც კიდევ ზოგნი ისევ ჰღელავენ, ხოლო ზოგნი-კი, როცა გაიგეს, რომ ფული აღარა გვაქვს და საჭმელი შემოგველევა ამ უსაქმობაშიო, დაადგნენ იმ გარდაწყვეტილებას, რომ კვლავ დავიწყოთ მუშაობაო.

— ალჟირის საქალაქო საბჭოს გარდაუწყვეტია, გავუგზავნოთ 200 ფრანკი იმ მუშებს, რომელთაც პირი შეჰკრეს პარიჟში და მუშაობაზე ხელი აიღესო.

— ფლოკეს განკარგულებით გაუქმებულ იქმნა ამას წინად დროებით ბიუროს სინდიკების პალატებისა. ეხლა ფლოკეს ნება დაურთავს, რომ ბიურომ კვლავ დაიწყოს მოქმედება.

— ქარხნებისა და მადნების პატრონებსა და სხვა-და-სხვა სამუშაოთა მოიჯარადრეებს კრება ჰქონიათ და გადაუწყვეტიათ, რომ მედიატორეთა სამართალი, რომელსაც მუშები გაიძახიან, ნუ გვინდაო.

— უმეტესმა ნაწილმა მოიჯარადრეებისამ და ქარხნების პატრონებისამ მაინც საჭიროდ დაინახა, რომ მოვურიგდეთ მუშებსა მშვიდობიანად და დავუთმოთ ყოველივე, რასაც სინდიკების პალატა საჭიროდ დაინახავსო.

— 29 ივლისს ქვემო შარანტს მისულა გენერალი ბულანჟე, გრაფი დილიონი და ლაგერი. ხალხს თანაგრძნობა არა აღმოუჩენია-რა. სადილს უკან გენერალს ულაპარაკნია ამომრჩეველ გლეხებთან და, როცა აქლა სხვაგან წასულა, ხალხს მაშინ დაუწყია თანაგრძნობით ყვირილი: „გაუმარჯოს ბულანჟესაო“.

გერმანია. გაზეთი „Kreuz Zeitung“-ი ლაპარაკობს პეტერბურგის დარბაზობაზე და ბოლოს ემუქრება ინგლისს. მოგვყავს უკანასკნელი სიტყვები ამ წერილისა, რადგან დასაწყისში გაზეთი აქებს მხოლოდ სიბრძნეს გერმანიის პოლიტიკისას და ამტკიცებს, რომ ამ პოლიტიკის ნაყოფია სამთა კავშირი, ეს ბურჯი მშვიდობიანობისა ევროპისათვისაო. აი რას ამბობს რეაქციის გაზეთი ინგლისის დღევანდელს საპოლიტიკო მდგომარეობის შესახებ:

„ჩვენ ხშირად გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ თუ საშიშია რამე ინგლისისათვის, საშიშია უფრო რუსეთის მოქმედება ინდოეთის საწინააღმდეგოდ. ეს მოქმედება რომ დაიწყოს რუსეთმა, ევროპი შეაგული კავშირი გულ-გრილად დაუწყებს ცქერას ინგლისის გაჭირებულს ყოფას. ინგლისი ასეთს უბედურებას ნურავის დააბრალებს და ნურც დაემდურება ვისმე. რით ვერ გაიგო, რომ თავისის მიუტევებელის გულ-გრილობით და ყოყლოჩინაობით ყოველივე დაჰკარგა, ყველა მოიმდურა და გადაიკიდა“.

ავსტრი-ვენგრია. საწყალს ხორვატელს ეპისკოპოზს შტროსმაიერს, რომელმაც თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა კიევში ნათლისღების იუბილეის დროს, ძალიან ემუქრებიან გაზეთები ავსტრიელებისა, მადიარების-და გერმანიელებისაც-კი. ამბობენ, რომ

---

სის დროის თითქმის ყველა ერთი ქვეყნის თვისება, აფხაზის ხასიათსაც ამკობს. აფხაზს დღესაც ეს ჩვეულება მტკიცედა აქვს დაცული და დიდად სასარგებლო და წმინდა საქმედ მიაჩნია. იმისის აზრით, ყოველს სტუმარსთან დაჰყვება: შვიდ-შვიდი ბარაქა, რომელთაგან ერთი მასპინძელსა რჩება, ხოლო სტუმარს ეს დაკლებული ბარაქა ისევ თავისით შეემატება. რაც უნდა ღარიბი იყოს, აფხაზი სცდილობს სტუმარს შესაფერი პატივი სცეს. არა თუ ყველა შინ შემოსულს განურჩევლად იწვევს და უმასპინძლდება, არამედ სახლის წინ შარა გზაზე გამვლელი ვინმეც რომ დაინახოს სალამოჟამზე, მაშინათვე მიჰმართავს: „ბზიალა ვაჰბეიტ“—მშვიდობით გნახეთ, კეთილად გნახეთო. ეს არის სტუმრის მისალები სალამი. ამით ანიშნებს, რომ სურს და მზად არის მასპინძლად დახვდეს და პატივი სცეს. შემდეგ ეპატიჟება და თხოულობს: „გადმაუხკიეთ, მოისვენეთ; აწ დაღამდა, სადლა წახვალთ, ღამე გაათიეთ და დილა ადრე გზას გაუდექითო“. და თუ მგზავრმა, ნაცნობი იყოს, თუნდა უცნობი, მართლა შეუხვია აფხაზის სახლში, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიიღებს შესაფერს პატივის-ცემას... და თუ არ დასთანხმდა, მაშინ მგზავრი მიაძახებს: „უპეიხეტ“—გამდიდრდი, გმადლობო, და გასწევს თავისს გზაზე. აფხაზთა შორისაც, როგორც სხვა მთიულებშიაც, სტუმარი, მოსისხლე მტერიც რომ იყოს, ხელ-შეუხებელია...

ამ სტუმართ-მოყვარეობასა და პურადობასთან აფხაზი მეტად თავაზიანია, დარბაისელი და პატივის-მდებელი უფროსთა. ყველა ეს გამოიხატება ათასს სხვა-და-სხვა ცხოვრების წვრილმანებში. აქ ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს ყოველს დღიურ ცხოვრებიდამ. საზოგადოდ საჭმლის მიღების წინ და შემდეგ აფხაზებში მუდამ ხელს იბანენ. ამ შემთხვევაში პირველად ხელს იბანს უფროსი და შემდეგ სხვები, რიგ-რიგად, უფროს-უმცროსობის მიხედვით. აგრეთვე იგივე წესია დაცული ღვინის სმის დროს. ამიტომ ყოველ ამ გვარს შემთხვევაში აფხაზები ერთმანეთს ეთავაზებიან და ეპატიჟებიან, რომ ერთმა მეორეზე უწინ მიირთვას ღვინო, ანუ დაიბანოს ხელი. ამ თავაზიანობასა და პატიჟობაში მართლაც ბევრი დარბაისლური და თავაზიანი სიტყვები იხარჯება: „შენი ჭირიმე, შენ არ მომიკვდე, ყველა ესენი არ მომივიდეს, გამჩენი ღმრთის მადლმა“. გაზრდილის სახელსაც ფიცულობენ.

როდესაც ერთი ვინმე პირველ ღვინოს დალევს, ანუ ხელს დაიბანს, შემდეგ იგივე ცერემონია იწყება დანარჩენებში და ასე ბოლომდისინ. გარდა ამისა, როდესაც უფროსი ხელს იბანს, უმცროსნი ფეხზედ წამოდგებიან. უფროსი ამ დროს სცდილობს ჩვეულებრივის დარბაისლურის სიტყვით დააჯეროს, რომ დაბრძანდნენ. თუ ამ გვარის სიტყვის ძალითაც ვერა გააწყო-რა და არ დაჯდა ის, ვისაც არ ეკადრება ფეხზედ დგომა იმის ხელის ბანის დროს, მაშინ თვითონაცა სდგება და ფეხზე მდგომარე იბანს ხელს. აგრეთვე სახლში შესვლის დროს კარებთან იმართება თავაზა და პატიჟობა სტუმრებს შორის, ანუ სტუმართა და მასპინძელთა შორის, რომ ერთი მეორეზე წინ შევიდეს. ცხენზე შეჯდომის დროს უფროსს უმცროსი უჭერს აბზინდას, უზანგს, პირველი-კი ეხვეწება, ნუ სწუხდებიო. ორი ცხენოსანი შეიყარნენ, ესთქვათ, თუ გინდ ტყეში. უმცროსს მათგანს სათქმელი აქვს რამე. არ შეიძლება ცხენზე იჯდეს და ისე უთხრას, ჩამოხტება და დაიწყებს ლაპარაკს. მეორეც, თუ შესაფერად დაინახავს, ცხენიდამ ჩამოხტება, ან არა-და ეტყვის, რად შესწუხდი, მჯდარიყავიო. ესთქვათ, ორნი მიდიან და ერთი მიუახლოვდა თავისს სახლსა; მეორემ არ გადუხვია თავისს თანამგზავრის სახლში, თუმცა თხოვნა ბევრი დაიხარჯა. ეს მეორე თავისს თანამგზავრს უცერემონიოდ როდი დაანებებს თავსა და როდი შევა შინ; უთუოდ გაჰყვება, გააცილებს და სანამ არ დაბრუნდება უკან, მანამ თავისი ამხანაგი ჩვეულებრივის თხოვნით არ შეაწუხებს და ასჯერ არ ეტყვის: დაბრუნდით, ნულარ სწუხდებითო...

პატივსაცემ კაცთა კრებაში, თუ გასვლა საჭირო შეიქმნა გარეთ, რაც ხშირად მოხდება სახლის სივიწროისა გამო, კაცი და უფრო ქალი ისე თვალთ-მაქცურად მოახერხებს გასვლას, რომ ზურგი არავის არ შეაქციოს.

ენა აფხაზთა აშკარად ჰმოწმობს აფხაზების ზრდილობა-თავაზიანობასა სიტყვა-პასუხშიაც.

იგი ხშირად ხმარობს სიტყვებს: გთხოვ, როგორც განათლებულს ქვეყნებში იციან, შენი ჭირიმე, შენი თავის ჭირიმე, და სხვანი.

აფხაზი, მეტადრე ქალები, ამბობენ: „შენ შემოგევლოს ჩემი თავი“, რა ადგილზედაც დგეხარ, იმ ადგილს შემოვევლე“, და მართლა აფხაზის ქალი დიდის ხნით უნახავს, ანუ ავადმყოფს გაზრდილს გარს უვლის სამჯერ ამ სიტყვებით: „შენი ავი, შენი ფათერაკი მე წამელოს“—უცვე მცუგე სეიზკაიტ[2]).

როდესაც აფხაზი თავისს საქმეზე მოუთხრობს ვისმეს, ანუ სთხოვს ვინმეს რასმეს, ანუ დაობს, ლაპარაკში მეტად თავს იმდაბლებს; ვისაც ელაპარაკება, იმას-კი პირ-იქით აქებს. „მე იმოდენა ცოდნის პატრონი არ ვიყავი, ერთი ბრიყვი ვინმე ვარ, მაგრამ თქვენისთანებს რომ დაეკითხეო .. მე რა შემეძლო, მაგრამ თქვენის შემწეობით და იმ საზოგადოების მოწყალებით და შემწეობით, რომელსაც ვეკუთვნი, „ცივ ღომს ვლოღნიდი“...

როდესაც აფხაზი მიესალმება აფხაზს, ანუ გამოესალმება ერთსა თუ რამდენსამეს და ფეხზე წამოუდგებიან, ხელების შესაფერის მოძრაობით მრავალჯერ ამბობს: „ბრძანდებოდეთ, ნუ შესწუხდებითო“.

საზოგადოდ სალამის მიცემის დროს მიღებულია, რომ სამი თითი მარჯვენა ხელისა ერთმანეთს მიატყუპოს და მაღლა ასწიოს. ამ გვარად აფხაზი დილით მიესალმება უმდაბლესი უმაღლესსა: „შეუბზია“—დილა მშვიდობისა, guten morgen, доброе утро; გამოეთხოვება დილით: „შუმშაა ბზიახეიტ—დღე კეთილად, ანუ თქვენნი დღენნი კეთილ იყოს“. შუადღეზე და დილით სალამი: „მშბზია“—დღე კეთილისა, guten tag, добрый день. გამოთხოვების დროს: „შუმშაა ბზიახეიტ“, ე. ი. როგორც დილით. საღამოზე სალამი: „ხულა ბზია“, საღამო მშვიდობისა, guten abend, добрый вечеръ. გამოთხოვების დროს: „უწხაა ბზიახეიტ“—ღამე კეთილისა, თქვენი ღამე კეთილი იყოს. ღამით: „წხბზია“—ღამე მშვიდობისა, gute nacht, добрая ночь. გამოთხოვებაზე ისე იციან სალამი, როგორც საღამოზე. ერთმანეთს რომ შეჰხვდნენ და გაეყარნენ მგზავრები, ამ სიტყვებით მიესალმებიან და გამოესალმებიან, მაგრამ თუ შეხვედრილები ცოტა ხანს ერთმანეთს ემასლაათნენ, მაშინ გამოთხოვების დროს ერთი ამბობს: „ბზიალა ჰაინიეიტ“—სიკეთით, კეთილისათვის შეგვეყარენითო“. მეორე მიაძახებს: „აბზიაბა ვანიეიტ“—კეთილსა შეეხვდი, შეგემთხვიოსო. მარულასა და ღოლისაკენ მიმავალნი ეუბნებიან: „აურა უქუპ“, საშოვარი გმართებს, ანუ გელის; პასუხი: თუ მარულას პატრონია, ესეც „ჰაიცქუპ“, ერთად გვმართებს, თუ არა, „კეთილი ნახე“. საქონლის მიმრეკს ეუბნებიან: „აბზა ხაუგალეიტ“, უვნებლად მიიყვანეო. პასუხი: „ბზია უბეიტ“=კეთილი ნახე... მწყემსს: „უბზა ჰიტ“ კარგად აბალახე, აძოვე; პასუხი იგივე... ყურძნისა ანუ კაკლის მკრეფს ხეზე მჯდომარეს ეუბნებიან: „ნარ ულბააიტ“=უვნებლადა და ხვავიანად ჩამოხვედი. პასუხი იგივე. მონადირეს: „ზფს იახეუ შზუშუპ“—ვისიც სული მოსული იყოს, გიცდიდეს, გელოდეს. ვისაც დაკლული ნადირი მოაქვს, ეუბნებიან: „უდრვეტ ეღიხეიტ“—კვლავინდელი უკეთესი იყოს, და ფოთლებს თავზე გადააყრიან. სიმინდის მოტეხის დროს მუშას ეუბნებიან: „მარ უმოუპ“—ხვავი გაქვს, ხვავი მოგეცეს. მთაზე კარავთან მი-

[2]) აფხაზის რწმენით ამ გარშემოვლების დროს ნამდვილად გადაედება კაცს იმისი ავი და ფათერაკი, რასაც გარს უვლის. ამიტომ, თუ რასმეს შეცდომით შემოუარა აფხაზმა, მაშინვე უკან დაბრუნდება, ავი არა წამომედოს-რა ამ გარ-შემოვლილის სენისაო.

შტროსმაიერს ვენაში მიუწოდეს და უნდათ ჩვენება ჩამოართვან ამ საქმის გამოვო. შტროსმაიერის გაზეთი, რომელიც ზაგრებში იბეჭდება ხორვატულს ენაზედ, ამბობს: „ვერავის ვერ შეუძლიან ეჭვი შეიტანოს, რომ ეპისკოპოსი შტროსმაიერი ერთგული არ არის კათოლიკეთა ეკკლესიისა და სამეფო ტახტისაო. მაგრამ, როგორც ბევრს სხვას, შტროსმაიერსაც სწამს უკეთესი მერმისი ავსტრიის სლავიანებისა. ხოლო ამ სლავიანების ბედზე დიდი გავლენა აქვს ისეთს ძლიერს ერს, როგორიც არის რუსეთის ერი. ჩვენ ხომ ის არ გვინდა, რომ მთელი სლავიანობა ერთს სახელმწიფოდ შეერთდეს, ეს შეუძლებელი და აუსრულებელი საქმეა; ჩვენ გვინდა მხოლოდ კულტურული კავშირი და ერთობა ჰქონდეთ ყველა სლავიანებს. ეს კავშირი და ერთობა, რასაკვირველია, განაძლიერებს ეროვნულს ცნობიერებას სლავიანთა თითოეულის ტომისას. ხოლო ასე გაძლიერებული ცნობიერება გაუმკლავდება იმათ, ვინც მსურველია დაამხოს სულითა და ხორცით ხორვატელთა ტომი. ცხადია, რომ ორს უმთავრესს ერს ავსტრიის მონარქიისას არაფრად არ ეპიტნავება ხოლმე, როცა ჩვენ რაიმე უნარს გამოვიჩენთ ჩვენის ვითარებისა და განსაკუთრებულის ზნე-ხასიათის დასაცველად. იმათი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ თვით იბატონონ და ჩვენ ისე ვყავდეთ, როგორც უმცროსნი და ხელზე მოსამსახურენი. იმათ ისიცკი უნდათ, რომ ან სულ გავგერმანელდეთ, ან გავმადიარდეთ და დავკარგოთ ხორვატელობა. მართალია, ჩვენ ბეჯითად ვეწინაამდეგებით ამ სურვილს და ძალიან მაგრადაცა ვდგევართ, მაგრამ მაინც საჭიროა სხვა ახალი იარაღიც გვეჭიროს ხელში. ასეთი იარაღია ის გრძნობა, რომ ჩვენ ძენი ვართ დიდისა და უძლიერესის სლავიანთა ტომისა. ეს თვით ჩვენმა მტრებმაც კარგად იციან, თორემ რად იწყინეს, რად იტკიცეს ისე, როცა დეპეშა თანაგრძნობისა გავგზავნეთ რუსეთში. გვეუბნებიან, რომ ცალკ-ცალკე იყავით, თორემ პანსლავიზმი საშიშიაო. ვიცით, რასაცა ნიშნავს ეს ძველებური პრინციპი, რომლის აზრი ის არის, რომ უნდა განაცალკევო ხალხი, შური და მტრობა სთესო ტომთა შორის, თუ გინდა ხელში გყავდეს ყველანი. ვიცით ეგ ფრაზა: „divide et impera!“ მაგრამ მალე მოვა დრო, როცა ჩვენში ველარ გაამწესებენ ისეთებს, რომელთაც ორი სლავიანური სიტყვაც არ იციან. თვით ვენაშიაც ნუ დაივიწყებენ, რომ ჩვენ ცოცხალნი ვართ და გამოცდილებამ ბევრი რამ გვასწავლა“.

ამ წერილმა უფრო გაახარა და გაამწვავა ზოგიერთი გაზეთები ავსტრიისა. ბერლინელი გაზ. „Kreuz Zeitung“-ი ამბობს, რომ ჰკუა უნდა ვასწავლოთ ეპისკოპოსს შტროსმაიერსაო. „Presse“-ი ამბობს, რომ ეგ წერილი ახალი საბუთია შტროსმაიერის სიგიჟისა და სისულელესიო. ნუ თუ იმას ჰგონია, რომ რუსნი უფრო ახლო ნათესავნი არიან ხორვატელებისა, ვიდრე ავსტრიის ერთა სხვა-და-სხვა ტომნიო?!

---

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-159 №ში დაბეჭდილი იყო მოწერილი ამბავი მეჯვრისხევიდგან. რადგანაც აქაურს საზოგადოებაში ზოგს მე ვგონივარ იმისი მომწერი, გთხოვთ უმორჩილესად გამოაცხადოთ თქვენსავე გაზეთში, ჩემი მოწერილია ის ამბავია, თუ არა.

ამასთანავე პატიოსანის სიტყვით ვარწმუნებ იმ კაცთ, რომლებსაც ჩემზედ მცირეოდენი ეჭვი აქვსთ, რომ ხსენებულის მოწერილის ამბის შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, ერთი სიტყვაც არ მეკუთვნის მე იმ წერილში, არც მცოდნია და დღესაც არ ვიცი, ვინ უნდა იყოს იმისი დამწერი*).

მეჯვრისხევის სკოლის მასწავლებელი
თეოფანე კანდელაკი

*) ვაცხადებთ, რომ ზემოხსენებულს ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენცია მეჯვრისხევიდგან თეოფანე კანდელაკს არ ეკუთვნის. რედ.

---

## წვრილი ამბები

თორმეტს ახალგაზდა ინგლისელს ქალს, რომელთაც ლონდონის საქალებო სამკურნალო სასწავლებელში დაუსრულებიათ სწავლა, წარსულს თთვეს ედინბურგის უნივერსიტეტში დაუჭერიათ ესრედ წოდებული სახელმწიფო ეგზამენი, რათა ექიმობის უფლება აელოთ. თორმეტსავე მშვენივრად დაუჭერიათ ეს ეგზამენი, უნივერსიტეტს მოწმობები მიუცია და დღეიდგან ინგლისის ქალთა-ექიმთა რიცხვს თორმეტი ქალი-ექიმი კიდევ მიჰმატებია.

—ერთს საყურადღებო შემთხვევას მოგვითხრობს ერთი გერმანელი გაზეთი. იგი ამბობს: კონბერნში გარდაიცვალა მასწავლებელი აქსელი სწორედ იმავე დღესა და საათს, როცა სული დალია განსვენებულმა ფრიდრიხმა, და იმავე ავადმყოფობით—კუ ჰქონდა ყელშიო. უფრო საკვირველია ის გარემოება, რომ გარდაცვლილი აქსელი სწორედ იმავე წელს და დღეს იყო დაბადებული, რა დღესაც იმპერატორი ფრიდრიხი და იმასაც „ფრიდრიხი“ ეწოდებოდა. ასე წარმოიდგინეთ, ეს ორი ადამიანი დამარხვითაც ერთს დღეს დაუმარხნიათ.

— ამას წინად ბერლინის საქალებო სავადმყოფოში დაბადებულა საკვირველი და საოცარი ყმაწვილი. დაბადებულს ერთი თვალი აქვს ზედ შუბლის შუაზედ, რომელიც თითქმის დაფარულია გარშემო მყოფ ქუთუთოებით. სწორედ თვალის ძირში ორმოსავით რაღაც არის და იქ აბია ბავშვს ცხვირიცა და ენაცა. პირი სულ არ უჩანს. თავი და ტანის დანარჩენი ასონი ისეთივე აქვს, როგორიც სხვებსა. ამ უამად საბრალო ბავშვი ცოცხალია და იმისი ნახვა კაცს შეჰზარავს თურმე.

— ტილლენდში (საფრანგეთში) ვიღაც მარიამ დელარბულას დაურჩვია თავისი სამი ყმაწვილი — 5 წლის ქალი, 3 წლის ვაჟი და 8 თთვის ქალივე. ეს წყეული ადამიანი ამას წინად წასჩხუბებია და უცემნია ქმრისთვის. როცა ქმარი გასხლტომია ხელიდგან, შვილებზე ამოუყრია ჯავრი. დამრჩვალთა გვამნი მდინარეს სხვა-და-სხვა ადგილს უპოვნიათ. ბოროტი დედა დაუპატიმრებიათ.

— ვაჭრობის მინისტრს რომში გამოუქვეყნებია სტატისტიკური ცნობები გაკოტრებულებზედ, რომელიც-კი ყოფილა აპრილსა და მარტში. სულ 342 კაცი გაკოტრებულა. უველაზედ შეძლებული ამათში ყოფილან ძმანი მარინები, რომელთაც წელიწადში 106 მილიონი ფული უტრიალებიათ. მინისტრი ამ შრომას ძალიან ხელოვნურად ასწერს თურმე. „ერთი სირის კუნძულელი თერძი გაკოტრდა სილარიბის გამოვო, სწერს მინისტრი; ერთი გენუელი ბირჟის აგენტი გაკოტრდა იმიტომ, რომ ცუდს ცხოვრებას ატარებდა და ფულებსა ჰფლანგავდა; ერთი ბაზაზი გაკოტრდა, ისე რომ მოვალეებს არა დაუტოვა-რა, ხელსახოციც-კი არ დასტოვა, რომ ცრემლები მოეწმინდათო“.

— ბერლინს ახლო ერთი შია შეძლების ოჯახი იდგა თურმე, რომელიც შესდგებოდა ოჯახის უფროსისა—მამისა, დედისა და ერთად-ერთის თვრამეტის წლის ქალის ემმასაგან. ეს ქალი მეტად ცოცხალი და მხიარული ახალგაზდა იყო თურმე, ის არის შეასრულა დრეზდენის პანსიონი და მშობლებთან დაბრუნდა. წარსულს ზამთარს ამ სახლში დამდგარა ახალგაზდა მხატვარი, რომელსაც მშობლებისათვის ემმას შერთვის სურვილი გამოუცხადებია და თანხმობაც მიუღია, რადგან ყმაწვილს ქალს ამ მხატვარზე გული შევარდნილი ჰქონია. ამის შემდეგ ყმაწვილი კაცი წასულა რომში და უთქვამს, რომ შემოდგომამდე იქ დავრჩები, ხოლო შემოდგომაზე-კი ქორწილი გავაჩაღოთო. ემმას მშობლებს სასიძოს სიამოვნება სდომებიათ, წაუყვანიათ თან თავიანთი ქალი და წასულან რომშივე. რადგან სცოდნიათ ის სასტუმრო, რომელშიაც ბინავდებოდა ყმაწვილი მხატვარი, თითონაც იქ განუძრახავთ ჩამოხდომა. ამ სასტუმროს ახლოს გზაზედ შეხვედრიათ მთელი პროცესია, მკვდარი მიჰყავდათ თურმე. ქალის მამას უკითხავს, ვისა ჰმარხავენო, და წარმოიდგინეთ იმისი თავში ხელების ცემა და სასოწარკვეთილება, როცა პასუხად მიუღია, რომ გარდაცვლილი გერმანელი მხატვარია ესა-და-ეს და იმითი გარდაიცვალა, რომ გული გაუსკდაო. ყმაწვილი ქალი ამ სიტყვებზე უგრძნობლად დაცემულა და ჭკუიდგან შეშლილა.

---

## გასართობი

ერთი მოხელე პრუსიის სამეურნეო სამინისტროსი ამას წინად გაუგზავნიათ ელზასში სასოფლო დაწესებულებათა დასათვალიერებლად და ამ მოხელეს სხვათა შორის დაუთვალიერებია ერთი კათოლიკეთა ძველი ეკკლესია ელზასის ერთს პაწაწა ქალაქში. ეკკლესიაში მოხელეს ყურადღება მიუქცევია დიდის ვერცხლის თავგვისათვის, რომელიც ღვთისმშობლის ხატის წინა ყოფილა ჩამოკიდებული. როცა მოხელეს უკითხავს, რა მნიშვნელობა

---

სვლაზე ამბობენ: „უმცა ხარა ბაანდავეროუპ (ანუ ტყვეროუპ)“, ე. ი. თქვენი კარავი (კერა) ტყვეთა დაჭერისაა. პასუხი იგივე „კეთილი ნახვ“. ერთის კარავიდგან მეორესთან მიმსვლელი ამბობს: „უმცა ხარა ბაჟ შროუპ“—თქვენი კერა გარეულის თხის მოკვლისა იყოს... საზოგადოდ მუშაობის დროს მოსაქმეს ეუბნებიან: „ბზია უქატ“—კეთილი ჰქენი; პასუხი იგივე. გამოთხოვების დროს ეუბნებიან: „უუსაა ზაზიახეიტ“—შენი საქმობა კეთილი იყოს. იარაღის დახედვისა და გასინჯვის შემდეგ პატრონს ეუბნებიან: „ხიძ ალაუკეიტ“—სახელი მოგახვეჭინოს, სახელი შეგეძინოს.

ეხლანდელი აფხაზი საქმეშიაცა და სიტყვაშიაც პირ-მოთნეობს და ფორმალისტობს. მუდამ სცდილობს ყოველივე ისე აღასრულოს, როგორც მიღებულია, თუნდა გულით არცკი თანაუგრძნობდეს ასეთს წესს. აფხაზი დასტირის საშინელის თავ-განწირვით მიცვალებულსა, რომლის სიკვდილი, იქმნება, უხარიან კიდეც. აფხაზს შეუძლიან გულში სულ სხვა იფიქროს და საქმით-კი სულ სხვა ისაქმოს; შეუძლიან გეპატიჟებოდეს, გეთავაზებოდეს და გულში-კი საშინლად სძაგდე და შენი მტრობა ღრმად ჰქონდეს დამარხული. მაგრამ განა ცოტანი არიან განათლებულს ხალხშიაც ისეთნი, რომელნიც თვალის ასახვევად გუნდრუკს უკმევენ იმას, რაც აზრითა და გულით სისულელედ მიაჩნიათ?! და ამ გვარს საქციელს აფხაზიც, ისე როგორც სხვანიც, მხოლოდ თავისის სარგებლობისათვის ჰკადრულობს, საკუთარის ინტერესისათვის ფარისევლობს და თვალთ-მაქცობს.

მართლაც აფხაზი, თუმცა სახელსა და ნამუსს დიდად აფასებს, მაგრამ არც სარგებლობას ივიწყებს მაინცა და მაინც... როდესაც აფხაზი დაუნახავს ვისმეს რაიმე მოსაწონს ნივთს, მაშინვე თავისებურის მომხიბლავისა და ლაქუციანის სიტყვა-პასუხით ითხოვს ამ ნივთს. პატრონიც დაუყოვნებლივ სთავაზობს. ეს ჩვეულება უფრო წინად იყო გავრცელებული. სრულიად საკმარისია სთქვას აფხაზმა რაიმე ნივთზე: „რა კარგია, როგორ მომწონსო?!“ და პატრონი მაშინვე უთავაზებს, მაგრამ იმ იმედით-კი, რომ თავისი არ დაჰკარგოს და მართლაც ოდესმე ისეთს რასმესა სთხოვს და იჩუქებს, რომელიც არაფრით არ ჩამორჩეს ფასითა და ღირსეულობით იმას, რაც თავად გასცა.

როდესაც აფხაზს გასაჭირი დაადგება და თავისის მოყვრებით ველარას იშველის, მაშინ ახალს მოკეთეს იძენს მოყვრად და იძენს ისეთსა, რომელიც ჰშველის გასაჭირს საქმეში. ამ ნაირად გატეხილს სახელს აღიდგენს და ამისათვის ბევრსაც დაჰხარჯავს. ამ გვარად თუმცა საქმეს გაიკეთებს, მაგრამ არც ის აეწყდება, თუ რამდენად დაუჯდა ეს საქმე, რომელიც მაშინ იმისი დარდი და ვარამი იყო...

შემდეგ როდესმე, ვით შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რამდენისამე თთვით ადრე, სანამ სთხოვდეს რასმეს, ამ ახალს მოყვრისას მისვლა-მოსვლას უხშირებს, მზადაა ყოველივე აუსრულოს, „მოსაკითხიც“ უფრო ხშირად მიაქვს იმასთან,—ერთის სიტყვით, ისე უჩვენებს თავს, რომ აფიქრებინოს: სწორედ ამაზე უკეთესი მეგობარი არა მყავსო. მერე ერთ-ერთს დღესასწაულზე, როდესაც მოსაკითხი მიაქვს, სთხოვს რასმე და ამ სახით მოყვრულად იბრუნებს გაცემულსა და დანახარჯს.

ძღვენით მისვლა-მოსვლა, „ძღვნობა“ მეტად გავრცელებულია აფხაზთა შორის. მაგალითად, აფხაზს არა ჰყავს ცხენი, უნდა-კი შეიძინოს, მაგრამ ფასი არა აქვს, გარდასაცვალი საქონელი არა ჰყავს. ფასად ასში ერთი ცხენი არ იყიდება და არც გაისყიდება აფხაზეთში, თუმცა საზოგადოდ, განსაკუთრებით თავად - აზნაურობა, დღეობით-კი არა, საათობით იცვლის ცხენსა. ამ შემთხვევაში უქონელს მიჰყავს ვერძი, ანუ ვაცი და მიაქვს სხვა ხორაგეულობაც რომელსამე თავადთან, აზნაურთან, ანუ შეძლებულს გლეხთან და იქ შოულობს ცხენსა. ასეა თუ ისე, აფხაზს კარგად შეუგნია აზრი იმ ლექსისა, რომელიც ამბობს:

რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია.

ისე არა უყვარს-რა, როგორც ცხენი და იარაღი, აბხაზურად „აბჯარ“, არა მარტო მაღალს წოდებას, არამედ დაბალსაც. ჯერ კიდევ ძუძუ-მწოვარა ყმაწვილი მაღალის წოდებისა ჩინებულად ხმარობს ცხენსა და იარაღსა, თითქო დედის მუცელშივე ესწავლოს. იარაღი: დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი, დანა, სადგისი და სხ. განუშორებელი მეგობარია აფხაზისა. როდესაც აფხაზი ასე შეიარაღებულია, ზის ცხენზე, ნაბადი გვერდზე აქვს გადმოგდებული და მიდის, მიიმღერის, ცხენს მიათამაშებს თავისს ტოლ-ამხანაგებში, მაშინ არის იმისი აღდგომა, უდიდესი დღესასწაული. აფხაზს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება უცხენოდ იცხოვროს კაცმაო, და ამიტომ ნახევარზე მეტს სიცოცხლეს ცხენზე ატარებს.

საზოგადოდ ცხენოსნობა და ცხენზე თამაში გავრცელებულია არა თუ მაღალსა, არამედ დაბალს წოდებაშიაც. პირველად ყველა საერო თამაშობათა შორის, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სულისა და ხორცის ვარჯიშობაში, ცხენოსნობა და ჯირითი უნდა დავასახელოთ. ცხენით თამაშზე ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ, აქ კი დავასახელებთ შემდეგს სხვა გართობას: 1) ბურთაობა, 2) „არკილ“-რიკი, 3) ქვის სროლა-ტყორცნა. ქვის სროლა-ტყორცნაც საყვარელი გართობაა და ერთ ნაირის კმაყოფილებით შეექცევიან, როგორც დიდნი, ისე პატარანი. მუსიკა და სახალხო პოეზია აფხაზთა, თუ არა ვცდებით, სდგას საკმაოდ დაბალს ხარისხზე. ერთად-ერთი სამუსიკო იარაღი ჩანგურია, რომელიც ქართველებისაგან უნდა ჰქონდესთ შემოღებული; ამას გვიმტკიცებს ჩვენ იმისი ქართული სახელ-წოდება აჩანგურ, „ბუკი-აბკი“. აფხაზური ლექსები, რომელთაგან ბევრნი შინაარსით პოეზიას მოკლებულნი არ არიან, ზოგი თითქოს დამყარებულია სიმეტრიის და მწობრ სიტყვაობის კანონზე. აი ნიმუშებიც:

ა) ალიოვა ქალამათ, აჯგუ იოვა აზდამრ
აფსნნძა მაჭრა დცან იანხუოჭკაცა დრამხაფსიტ.
ვორვულტუ საგკასა, ბარფუნტუ ჭავრხუა
აშიქვა დალარეეო, აშაფშიქუ დალარსოუს დნარგოოიტ დშუბაზაზ დრცჭაუშჭიმაგე

ბ) ეო ძიავა,
ძარ იკვაკვა
მარკლ-და!
აჰ იფა
ვ ოქვომ;
ძ იოვომ.
აკვარაქვა
ეიმიდოვო:
ძ ხუჭკ, ძ ხუჭკ.

მაშინ-როდესაც ზოგიერთი ლექსები სასიამოვნოდ იკითხება, მეტი წილი სიმღერის გარეშე ჰკარგავს ყოველს თავისს შნოსა და ლაზათს. რითმას და უფრო იმისს აჩრდილსა და მსგავსებას მხოლოდ აქა-იქ მოჰკრავთ ყურსა. ასე რომ სრულს თანასწორობას შინაარსსა და ფორმას შორის, რომლის მაგალითებსაც წარმოგვიდგენს ჩვენი სახალხო ლექსები, საცა ფორმა შეეფერება შინაარსსა, ჩვენ ვერა ვხედავთ აფხაზურს ლექსებში.

მაგრამ მარტო რითმა და მწყობრსიტყაობა არ ატკბობს ადამიანის ყურთა სმენას: არის ერთი სახე ლექსთ-წყობილებისა, რომელსაც უწოდებენ ალლიტერაციას და რომელიც მგომარეობს ერთ გვარ ხმათა ანუ მარცვალთა ხშირ-ხშირ განმეორებაში (1). ამ ალლიტერაციით შემკობილს სიტყვას ვხედავთ ჩვენ უფრო აფხაზურს ლექსებში. აი მაგალითებიც:

ა, (ზევით მოყვანილს პირველს ლექსში)
ვარეულტუ... ბარფუნტუ
ბ) ქილარ მარდა ყულარდამ
გ) არბა არბა სინარბა
დ) მასთა მასთაროუ
მასთა სთახოუ
სიამულ უცა
სიამულ სიახოუ
სიანჯარ უცა
გვლის შელოცვიდგან.
ხუჭ ხუჭ ხუდან-ფა
ჭრკვა ჭრკვა ჭრტელაზ
არასა ვარასა ვასატან...

პ. გოოგიძე
(შემდეგი იქნება)

1) ალლიტერაციის მაგალითს, მხოლოდ-კი რითმასთან შეერთებულისას, ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს ჩახრუხაული:
„თამარ წყნარი შესაწყნარი, ნარ-ნარი პირ-მცინარი“ და სხ.

აქვს ამ თავვსაო, ქალაქის მოურავს უპასუხნია:

— მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში ამ რამდენისამე წლის წინად დიდ-ძალი თაგვი გაჩნდა და, თუმცა ბევრი ღონე იღონეს იმის გასაწყვეტად, მაგრამ ვერა მოუხერხეს-რა. ბოლოს ერთმა მორწმუნეთაგანმა ურჩია მკვიდრთ, რომ ვერცხლის დიდი თაგვი გააკეთებინეთ და მღვთის-მშობელს შესწირეთო. ჩვენც გავუგონეთ და მართლაც, რომ თაგვების სინსილა სულ ერთიანად გასწყდა.

— ნუთუ გჯერათ, ბ-ნო ქალაქის მოურავო, რომ სწორედ ამ ვერცხლის თაგვის წყალობით გასწყდა თაგვები?—გაკვირვებით ჰკითხა პრუსიის მოხელემ.

— არა, არა, არა მჯერა. რომ მჯეროდეს და ამ გვარს შეწირულობას მართლა რაიმე მოქმედება ჰქონდეს, მაშინ დიდი ხანია ჩამოვკიდებდი ხატის წინ... ვერცხლის პრუსიელსა.

**

ბერლინის ერთს რესტორანში მსახურებდა თურმე ერთი ზანგი, საკვირველისა და საოცარის აგებულებისა. ამ ზანგს შეჰყვარებია სასტუმროშივე მოსამსახურე-ქალი ემილია ც. და წარსულს კვირას წასულა თავისის საცოლოს სანახავად. კაი გუნებაზედ ყოფილა, მაგრამ მაშინვე ავ-გუნებად შექმნილა, დაუნახავს თუ არა, რომ იმისი საცოლე ვიღაც იტალიელს ელაპარაკება. აფრიკის შვილს სისხლი წამოსჩუხჩუხებია, შელაპარაკებულან და ერთმანეთს დასძგერებიან. ჩხუბში მონაწილეობა მიუღიათ გარეშეთაც. იტალიელს ლუდის ჭიქა უსროლია ზანგისათვის, ხოლო როცა ზანგი გამოჰკიდებია, იტალიელი იქვე კარებში შევარდნილა და მოუხურავს. გაქანებულს ზანგს ისე მაგრად მიუჯახებია თავი კარების ამყოლისათვის, რომ ყველასა ჰგონებია თავის ქალა ლუკმა-ლუკმა დაემსხვრევაო. ჰგონებიათ, მაგრამ სულ სხვა-კი აღმოჩენილა: თითონ კარები გატეხილა.

## დეპეშა

8 აგვისტო

**ფრანკფურტი** (მდ. მაინზე). დღეს ობერ-ბურგომისტრმა მიკელმა გამართა მესამე ერთა-შორისი კონგრესი შინაგან ნაოსნობის შესახებ. მინისტრ ბეტიხერმა სალამი მოახსენა კონგრესს გერმანიისა და პრუსიის მაგიერად და გადასცა მოკითხვა იმპერატორ ვილჰელმისაგან. კონგრესის ბიუროში სხვათა შორის რუსეთის წარმომადგენლად აურჩევიათ ბ-ნი სიტენკო.

**პარიჟი.** გენერალი ბულანჟე აირჩიეს სამს დეპარტამენტში აუარებელის ხმის უმეტესობით. მართებლობის მომხრე მწერლობა ძალიან შეაფიქრა ამ გარემოებამ.

9 აგვისტო

**პეტერბურგი.** საზღვარს გარეთ გავრცელდა ხმა, რომ ვითომ რუსეთის მთავრობამ ისესხა ამსტერდამში 200 მილიონი ფრანკი. მაგრამ ეს ხმა, როგორც ნამდვილად შეუტყვია «ჩრდილო-სატელეგრაფო სააგენტოს» უსაფუძლოა.

„Новости“-ს გაუგონია, რომ ფინანსთა მინისტრმა სთხოვა მინისტრთა კომიტეტს, დააცალეთ შაქრის მკეთებელ მექარხნეებს და ბაჟს 1 დეკემბრამდე ნუ გამოართმევთო, და მინისტრთა კომიტეტსაც შეუწყნარებია ეს თხოვნა.

**ნიუ იორკი.** პირნახულების მოსავალი გაძნელდა ევროპაში ავის ამინდების გამო და ამიტომ აქ ბევრს შეუკვეთეს ევროპიდამ, პური დაგვემზადეთო. ეს არის მიზეზი, რომ პურის ფასმა აიწია აქა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აგვისტო

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 8 | 18 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 164½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | 1 | 28 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 270 | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 250 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | 98 | |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | 98 | |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 82½ | | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აგვისტო 31 დღით არის.

10 დღე ოთხშაბათი. წამება ლავრენტისა. კათოლ. ლავრენტისავე. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 5—50. მთვარე 16 დღისაა.

11 დღე ხუთშაბათი. წმ. ვასილისა. კათოლ. სუსანასი. მუსულმ. მე-15 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—48. მთვარე 17 დღისაა.

12 დღე პარასკევი. ღირს. ალექსანდრესი. კათოლ. ეპ. გერკულიანისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—47. მთვარე 18 დღისაა.

13 დღე შაბათი. ღირსისა მაქსიმესი. კათოლ. ჰიპოლიტისა. სომეხ. ნავაკატიკი და ნახატონაკი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—18, ჩადის 6—45. მთვარე 19 დღისაა.

14 დღე კვირა. ღირსისა მიხეილისა, კათოლ. ეპისკ. ევზებიასი. სომეხ. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა. ყურძნის კურთხევა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44. მთვარე 20 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ძვვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## პომადა

რ. კიოლერისა და ამხ. ფაბრიკისა,

მოსკოვში.

1) ქინაქინისა. 2) ტვინისა.

3) ალვის ხისა, დოქტორის შვეიკარტისა

ყურად საღებია ყოველთათვის, ვისაც-კი, პომადის ხმარების დროს, თმის შერჩენა ეძვირფასება.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში - რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ 3—2 (ц)

საქალაქო პირველ - დაწყებითს სასწავლებლებში მოწაფეებს მიიღებენ ამავე აგვისტოს 25-დამ, საათის 9—12 დილით. სწავლა დაიწყება სექტემბრის 1-დამ.

სასწავლებელნი იმყოფებიან:

1) წმიდა დავითისა (ქართული), მთაწმინდის მოედანზედ,

2) კუკიისა (ქართული), ანდრიას ქუჩაზედ, № 21. (2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში და ჩარკვიანის მაღაზიაში.

ქართული მწერლობა

(მეხვიდმეტე საუკუნეში)

ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ქ. გორში, ორლობის ქუჩაზე, თეალიევის სახლში გაემართე ერთ-კლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობისთვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ძე ცხვედაძე

(10—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

## ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),

შედგენილი

პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით

ვ. ს—შვილის მიერ.

ფასი ორი შაური.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . . | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . . | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . . | „ | 50 |


Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე